განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესი ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

შეფასების თარიღი 2019. 11. 02

დასკვნის წარდგენის თარიღი
15.03.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204429341
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ მაღალაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დგვეფაძე, ბრენდორ კონსალტინგი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა მიხელიძე, კავკასიის უნივერისტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მმართველობის სკოლის ფარგლებში ფუნქციონირებს 2014 წლიდან.

პროგრამა მიზნად ისახავს მეწარმე-მენეჯერების აღზრდას, რაშიც იგულისხმება ინიციატივიანი, შედეგზე-ორიენტირებული ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ორგანიზაციის მიზნების დასახვა, პრობლემების გადაჭრა, ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება და არსებული რესურსების სწორად მართვა.

მიზნიდან გამომდინარე პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებულია სწავლის 7 შედეგი: მეწარმე-მენეჯერი; ფინანსისტი; მარკეტერი, პროექტების მენეჯერი, კომუნიკატორი, პრაქტიკოსი, მკვლევარი, Homo Moralis.

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ წარმატებით იმუშაონ როგორც კერძო, ასევე საჯარო თუ საზოგადოებრივ სექტორში.

სასწავლო პროგრამა შედგება ხუთი მოდულისგან, რომლებიც სტუდენტებს სთავაზობს 13 სავალდებულო საგანს, 4 შემაჯამებელ პროექტსა და სამაგისტრო ნაშრომს (ჯამში 104 კრედიტი) და 4 არჩევით საგანს (16 კრედიტს). მეხუთე მოდულის ბოლოს სტუდენტები მუშაობენ სამაგისტრო ნაშრომზე (15 კრედიტი), რომელიც მოიაზრებს პრობლემური კომპანიის გამართვის, მისი ღირებულების ზრდის სტრატეგიისა და გეგმის მომზადებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 11 თებერვალს ვიზიტამდე, 8 თებერვალს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (დავით სიხარულიძე, თამარ მაღალაშვილი, ნინო დგვეფაძე, ანა მიხელიძე) და მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუს პროცესში, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

11 თებერვალს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10:00 საათიდან, დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #65/ნ 26[1]-ე და 27-მუხლის) გათვალისწინებით პროგრამის პირველი, მესამე, მეოთხე, მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. თუმცა, 3.1, 4.3 და 5.2 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 2.2, 2.3, 2.4 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდირებულია პროგრამის სავალდებულო ბლოკში ისწავლებოდეს სასწავლო კურსი ,,ადამიანური რესურსების მართვა“;
  - რეკომენდირებულია სასწავლო კურსის ,,ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების“ მოდიფიკაცია აღწერაში მითითებული მოსაზრების გათვალისწინებით;
  - რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესის შემუშავება ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისათვის, სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც სტუდენტებს უფრო მეტად გაუმარტივებს სამაგისტრო ნაშრომების/პროექტის მომზადებას;
  - რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომების მომზადებასა და დაცვაზე განხორციელდეს მონიტორინგი სამაგისტრო ნაშრომების შესრულების არსებულ წესებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
  - რეკომენდირებულია სტუდენტების წახალისება სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობის ამაღლების მიზნით;
  - რეკომენდირებულია გაძლიერდეს სტუდენტების წახალისება მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში;
  - რეკომენდირებულია გადამოწმდეს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა ბიბლიოთეკაში;
  - რეკომენდირებულია გაიზარდოს სტუდენტთა ინფორმირება ელ. სამეცნიერო ბაზების არსებობის და დანიშნულების შესახებ.
  - რეკომენდებულია განახლდეს დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების განახლების მიუხედავად აკადემიური და მოწვეული პერსონალი არ ფლობდა ინფორმაციას კოლეგიალური დასწრების სისტემის დანერგვის შესახებ. სასურველია უსდ-ს «სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების» განახლებისთანავე ეცნობოს პერსონალს მასში შესული ცვლილებების და დამატებების შესახებ.
  - უსდ ერთ-ერთ გარე შეფასების მექანიზმად მიიჩნევს მრჩეველთა საბჭოს, შესაბამისად, სასურველია გამჭირვალე გახდეს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სწავლების მრჩეველთა საბჭოს წევრთა ვინაობა და ქმედითი გახდეს მათი საქმიანობა, რაც დადასტურებული იქნება შესაბამისი შეხვედრების ოქმებით.
  - სასურველია სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული ლექტორების წახალისება და უფრო აქტიურად ჩართვა კვლევით/სამეცნიერო საქმიანობაში;

- სასურველია აკადემიური/მოწვეული პერსონალის წახალისებისთვის გათვალისწინებული იქნას არა მარტო სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები, არამედ თითოეული ლექტორის მიერ განხორციელებული კვლევითი საქმიანობაც.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მისიაა დამოუკიდებელი საქართველოსთვის, თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი და დემოკრატიული ღირებულებების ერთგული ლიდერების აღზრდა. მისიიდან გამომდინარე შემუშავებულია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანი, რომელიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული: ,,მოამზადოს მაღალკვალიფიციური მეწარმე-მენეჯერები, რომლებიც წარმატებით შეძლებენ პრობლემური ორგანიზაციების გამართვასა და კერძო, საჯარო თუ საზოგადოებრივ სექტორში არსებული პრობლემების გადაწყვეტას. დასახული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა სწავლის 7 შედეგი, რომლის მონოტორინგი და შეფასება ხდება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმით და სამიზნე ნიშნულებით. სწავლის შედეგების შეფასება ხდება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირ მეთოდებით. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის დანერგვა და განვითარება ნაკარნახევია შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციებით. კერძოდ უნივერსიტეტის ჩატარებული აქვს შრომის ბაზრის კვლევა. (იხ. შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა კვლევა 2018 წლის მარტი). კვლევა ჩატარდა 2018 წლის მარტში და მიზნად ისახავდა ბიზნეს ადმინისტრირების პროფესიის ბაზრის საჭიროებების ანალიზს. აღნიშნული კვლევა გამოყენებულია ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო და სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში, რათა მასში ასახული იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნები: კვლევა მოიცავს შემდეგი ძირითადი საკითხების ანალიზს: • ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და კურიკულუმის ანალიზი - კურსდამთავრებულის კვალიფიკაცია და შეძენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები. • მოთხოვნები, რომელიც არსებობს ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულთა მიმართ შრომის ბაზარზე; • დაბრკოლებები, რომელთაც ხვდებიან დამსაქმებლები ახალი კადრის (კურსდამთავრებულის) მიღების დროს. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024. SWOT და PESTEL ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, მექანიზმები და სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისათვის და უნივერსიტეტის მხრიდან ხდება აკადემიური პერსონალის წახალისება გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო კონფერენციებში. თუმცა, სტუდენტებთან გასაუბრებამ გვიჩვენა, რომ აუცილებელია

უნივერსიტეტის მხრიდან მოხდეს სტუდენტების წახალისება გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის კუთხით. (იხ. 3.1 კომპონენტი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის მისია; • ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა • თვითშეფასების ანგარიში; • ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგები • შრომის ბაზრის კვლევა • ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანი ,,მოამზადოს მაღალკვალიფიციური მეწარმე-მენეჯერები, რომლებიც წარმატებით შეძლებენ პრობლემური ორგანიზაციების გამართვასა და კერძო, საჯარო თუ საზოგადოებრივ სექტორში არსებული პრობლემების გადაწყვეტას“, მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. მიზნიდან გამომდინარე ფორმულირებულია სწავლის შედეგები, კერძოდ: 1, მეწარმე-მენეჯერი; 2. ფინანსისტი, 3. მარკეტერი, 4. პროექტის მენეჯერი, 5. კომუნიკატორი, 6. პრაქტიკოსი, 7. მკვლევარი, 8. Homo-Moralis. თითოეული სწავლის შედეგი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და დეტალურად არის ახსნილი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტში. პროგრამის სწავლის შედეგები ასახულია პროგრამის კურიკულუმის რუკაზე. პროგრამის შედეგებზე გასასვლელად თითოეული საგანი წარმოდგენილია პროგრამის შედეგებთან მიმართებაში. გვიჩვენებს, თუ რომელი სასწავლო კურსი ემსახურება კონკრეტულ სწავლის შედეგზე გასვლას. საგნისა და შედეგის თანაკვეთის უჯრაში მითითებულია ერთ-ერთი ან რამდენიმე შედეგობრივი ინდიკატორი I, P, M, საიდანაც I აღნიშნავს მოცემული საგნის მოცემულ შედეგზე გასვლას შესავლის, ანუ გაცნობით დონეზე (Introduction), P აღნიშნავს მოცემული საგნის მოცემულ შედეგს პრაქტიკაში (Practice), ხოლო M აღნიშნავს სტუდენტის გაყვანას ოსტატის დონეზე (Master). შესაძლებელია, რომ საგანი იწვევდეს შესავლის და პრაქტიკის (IP), ან პრაქტიკისა და ოსტატის (PM) დონეზე გასვლას შედეგზე.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. არის მიღწევადი და რეალური, ვინაიდან უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი ფიზიკური და ადამიანური რესურსები.

როგორც აღვნიშნეთ უნივერსიტეტმა ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა და კვლევის შედეგები გათვალისწინებულია პროგრამის შემუშავების პროცესის ყველა კომპონენტში, მათ შორის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას.

გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ დაინტერესებული მხარეები პირდაპირ თუ ირიბად ჩართულნი იყვნენ პროგრამის შემუშავების პროცესში.

პროგრამაში ვკითხულობთ, რომ ,,ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ წარმატებით იმუშაონ როგორც კერძო, ასევე საჯარო თუ საზოგადოებრივ სექტორში“. პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ კურსდამთავრებულს ექნება სიღრმისეული ცოდნა მეწარმეობის, ფინანსების, მარკეტინგის, პროექტების მართვის კუთხით, ასვე გამოუმუშავდება კომუნიკაციის და ანალიტიკური აზროვნების უნარი, რაც აუცილებელია პროგრამაში მითითებულ დასაქმების სფეროებში კარიერული წინსვლისათვის.

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება შემდეგი სწავლის მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფი, პრაქტიკული მუშობა, სემინარი და ასევე სიმულაციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგები;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები;

• დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ნებისმიერ სფეროში; საერთო სამაგისტრო გამოცდების (B ტესტი) ზღვრის გადალახვა (საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად); 3) შიდა საუნივერსიტეტო გასაუბრების წარმატებით გავლა, რომლის მიზანია შემოწმდეს სტუდენტის სპეციალობის დაუფლებისთვის მზადყოფნა, მოტივაცია და საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები; 4) ინგლისურის ტესტირების წარმატებით გავლა, სადაც მოწმდება ინგლისური ენის ცოდნა (დონე B2-Intermediate), ან შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის. ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა • თვითშეფასების ანგარიში; • უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგები; • უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი: https://gipa.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო შიდა დოკუმენტი. ამ დოკუმენტის მესამე თავი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესსა და პროცედურებს“

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს; კერძოდ, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა აგებულია მოდულური სწავლების პრინციპზე. პირველ სემესტრში ისწავლება საბაზისო საგნები, კერძოდ ბიზნესის შემადგენელი ელემენტები - ფინანსები, მარკეტინგი და მენეჯმენტის საფუძვლები და პროფესიული უნარები. პირველი მოდული საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ ფართო ცოდნა ბიზნესის სფეროში. მომდევნო მოდულები საშუალებას აძლევს სტუდენტს მიიღოს სიღრმისეული ცოდნა. პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ მოდულებს: კორპორაციული ფინანსები; ოპერაციებისა და ტექნოლოგიების მართვა, ბიზნესის განვითარება; მეწარმე მენეჯერი. პროგრამის მოცულობა განსაზღვრულია 120 კრედიტით. აქედან, ძირითადი სავალდებულო საგნები განისაზღვრა 104 კრედიტით, არჩევითი სასწავლო კურსები 16 კრედიტით. სამაგისტრო ნაშრომი პროექტი განისაზღვრა -15 კრედიტით. პროგრამა თეორიულთან ერთად ფოკუსირებულია პრაქტიკულ სწავლებაზე. კერძოდ სტუდენტები სამი სემესტრის განმავლობაში ამზადებენ პროექტს მარკეტინგის, ოპერაციათა მენეჯმენტისა და ფინანსების მიმართულებით და ამ პროექტების საფუძველზე იწერება სამაგისტრო ნაშრომი. თუმცა სტუდენტს საშუალება აქვს სრულიად ახალ თემაზე მოამზადოს პროექტი.

სამაგისტრო ნაშრომებზე დაშვებისთვის, აუცილებელია, სტუდენტმა მიიღოს დადებითი შეფასება მოდულში შემავალ სავალდებულო საგნებში. ხოლო სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დასაწყებად, სტუდენტს დადებითი ნიშანი უნდა ჰქონდეს პროგრამის ყველა სავალდებულო საგანში.

პროგრამის ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამის შინაარსი და

სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; თუმცა, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და აკადემიურ პერსონალთან საუბრისას გამოვლინდა პროგრამის სავალდებულო დისციპლინებს შორის ,,ადამიანური რესურსების მართვის“ სწავლის აუცილებლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა • თვითშეფასების ანგარიში; • სილაბუსები; • ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო შიდა დოკუმენტი; • აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგები; • სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები; • დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია პროგრამის სავალდებულო ბლოკში ისწავლებოდეს სასწავლო კურსის ადამიანური რესურსების მართვა;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს.

თუმცა, სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასთან დაკავშირებით გაგვაჩნია მოსაზრება. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში სტუდენტები ამზადებენ პროექტს, რომლის ინსტრუქცია გაწერილია ,,სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესში". სადაც გაწერილია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ყველა პროცედურა და საერთოა უნივერსიტეტის ყველა სკოლისათვის. მხოლოდ განსხვავდება სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულების სტრუქტურა. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში არ ხორციელდება სამეცნიერო კვლევა მკაფიოდ გაწერილი მეთოდოლოგიის საფუძველზე. სტუდენტები ამზადებენ კონკრეტული კომპანიის შესახებ დეტალურ პროექტს, რომელსაც მომზადების თავისი სპეციფიკა გააჩნია. სამაგისტრო ნაშრომების შემოწმებისას გამოვლინდა გარკვეული სახის ტექნიკური და სტრუქტურული ხარვეზები. კერძოდ, მართალია პროგრამის ხელმძღვანელები აღნიშნავდნენ, რომ სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქციაში მითითებული სტრუქტურა არის საორიენტაციო ხასიათის, იყო ნაშრომები, რომელშიც შეიმჩნეოდა მნიშნელოვანი გადახრა საორიენტაციო ხაზიდან. ასევე იყო ხარვეზები გამოყენებული ლიტერატურის კუთხით. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან მიგვაჩნია, რომ უნდა არსებობდეს პროექტის მომზადების დეტალურად გაწერილი ინსტრუქცია ცალკე ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისათვის და უნდა გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომების/პროექტების შესრულების მონიტორინგი.

ასევე სასწავლო კურსის სილაბუსის ,,ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების" ანალიზი გვიჩვენებს, რომ სასწავლო კურსის შინაარსი ძირთადად ფოკუსირდება ბრენდინგის სწავლებაზე, ნაკლები დრო ეთმობა ან საერთოდ არ მოიცავს ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტების სწავლებას, როგორიცაა გაყიდვების წახალისება, ციფრული მარკეტინგი, პირდაპირი მარკეტინგი, ალტერნატიული მარკეტინგი. კერძოდ 8 შეხვედრა ეთმობა ბრენდინგის სწავლებას, მაშინ როდესაც 4 შეხვედრა რეკლამირებას, 1 შეხვედრა საზოგადოებასთან ურთიერთობას და 3 შეხვედრა გაყიდვებს. ასევე, ნაკლები დრო ეთმობა უშუალოდ აღნიშნული დისციპლინების ინტეგრირების და ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების დაგეგმვის პროცესის გაცნობას.

პროგრამისა და სილაბუსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სასწავლო დისციპლინების ფორმატი არ არის სტანდარტული, არც სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობაა სტანდარტული. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა გამოთვლილია მისი სპეციფიკის, თავისებურებებისა და მოცულობის გათვალისწინებით, იმის გათვალისწინებით, თუ რეალურად რა დრო ჭირდება კონკრეტული დისციპლინის შესწავლას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;

- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები;
- სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი.
- სამაგისტრო ნაშრომები/პროექტები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია სასწავლო კურსის ,,ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების“ მოდიფიკაცია აღწერაში მითითებული მოსაზრების გათვალისწინებით;
- რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესის შემუშავება ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისათვის, სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც სტუდენტებს უფრო მეტად გაუმარტივებს სამაგისტრო ნაშრომების მომზადებას;
- რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომების მომზადებასა და დაცვაზე განხორციელდეს მონიტორინგი სამაგისტრო ნაშრომების შესრულების არსებულ წესებთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული,

სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარება, რაც უზრუნველყოფილია თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში მნიშვნელოვანი მოცულობით პრაქტიკული მეცადინეობებით. სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული თითოეული მოდულის ბოლოს პროგრამით გათვალისწინებული შემაჯამებელი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს თითოეულ მოდულში სტუდენტის მიერ დაგროვებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებასა და გაღრმავებას. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი ეს არის პრაქტიკულ-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა. ნაშრომის/პროექტის შინაარსი გულისხმობს - პრობლემური კომპანიის გამართვისა და მისი ღირებულების ზრდის სტრატეგიისა და გეგმის მომზადებას, რაც სტუდენტს გამოუმუშავებს კვლევის დამოუკიდებლად წარმართვისა და ბიზნეს პრობლემების გადაჭრის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. სტუდენტებთან და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში საკმაოდ დაბალია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • სილაბუსები; • ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია სტუდენტების წახალისება სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობის ამაღლების მიზნით;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე გამოიყენება შემდეგი სწავლება-სწავლის მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა. სწავლება სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს საგნის შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვა); პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში, რომელიც მიეწოდება სტუდენტს სასწავლო კომპონენტის დაწყებამდე.

პროგრამის ფარგლებში ასვე გამოიყენება სწავლების ისეთი აქტიური ფორმა როგორიცაა ბიზნეს-სიმულაციები. პროგრამის ხუთივე მოდული მოიცავს მინიმუმ ერთ, ხშირ შემთხვევაში რამდენიმე სიმულაციას, რომელთა ლიცენზიის შესყიდვა ხდება ისეთი ლიდერი ბიზნეს სკოლებისგან, როგორიც არის ჰარვარდის ბიზნეს სკოლა. სიმულაციების საშუალებით სტუდენტები მიღებულ ცოდნას და უნარებს სწავლის პროცესშივე იყენებენ, მართავენ ვირტუალურ კომპანიებს შესაბამისად, პროგრამის დასრულებისას მათ უკვე გააჩნიათ რეალური გამოცდილება, რომლის გადატანას მარტივად ახდენენ პრაქტიკაში.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ, შეზღუდულ და სპეციალურ საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ დადგენილი წესის მიხედვით. შეფასების პროცედურა გამჭირვალეა სტუდენტებისათვის და კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია (შეფასების სისტემა გაწერილია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მე-3 ბრძანების (2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“) შესაბამისად). შეფასების სტრუქტურა მრავალკომპონენტიანია და მოიცავს შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას. თითოეული სასწავლო კურსისთვის შემუშავებულია შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტები. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. შეფასების სისტემის თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. სტუდენტის მიერ მიღებული ყველა შეფასება ფიქსირდება უნივერსიტეტის საკომუნიკაციო პლატფორმაზე „lmb.gipa.ge“-ზე, რაც გამოიყენება სტუდენტის საერთო მოსწრების აღრიცხვისათვის. სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და დასახულ სწავლის შედეგებს, რაც გულისხმობს შეფასების ისეთი ფორმების გამოყენებას რაც შესაძლებელს ხდის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მიხედვით სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მიღებული შეფასება შედეგების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში წერილობითი საჩივრის წარდგენის გზით. გასაუბრების დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ისინი იცნობენ შეფასების სისტემას და ნაშრომის გასაჩივრების შემთხვევაში ადმინისტრაციის მხრიდან

მიუღიათ სწორი და სამართლიანი რეაგირება. ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულება და დაცვა ხდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი ფასდება ერთჯერადი დასკვნითი შეფასებით, კომისიური წესით. კომისია აფასებს პროექტის შინაარსსა და მის ზეპირ პრეზენტაციას, კომისიის შემადგენლობაშია მინიმუმ 5 (ხუთი) წევრი, მათ შორის სამაგისტრო პროექტის ხელმძღვანელი (ხმის უფლების გარეშე). სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა გაწერილია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“, რომელიც განთავსებულია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ვებ-გვერდზე (https://gipa.ge/res/docs/20181001194323სასწავლოპროცესისმარეგულირებელიწესები.pdf). ყოველი სასწავლო კურსის დაწყების წინ ხდება შეფასების სისტემის სტრუქტურის გაცნობა სტუდენტებისთვის. სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ ისინი იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აგრეთვე, იღებენ საკუთარი ძლიერი, სუსტი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ ინფორმაციას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; • უნივერსიტეტის ეთიკისა და ქცევის კოდექსი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია, როგორც სტუდენტური პორტალის (lmb.gipa.ge) მეშვეობით, აგრეთვე ელექტრონული ფოსტის, უნივერსიტეტის ვებ-გვერდის, ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან საკონსულტაციო შეხვედრების გზით. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ფიქსირდება სტუდენტებთან საკონსულტაციო შეხვედრების დრო და ადგილი. სტუდენტებთან გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ მათ პედაგოგებთან კომუნიკაცია (გარდა სილაბუსით განსაზღვრული საკონსულტაციო საათებისა) შეუძლიათ ნებისმიერ დროს, რაზეც სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი სტუდენტებს სთავაზობს მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის პროექტებსა და აქტივობებში. უნივერსიტეტში არსებული პროექტების და მობილობის შესაძლებლობების შესახებ სტუდენტები დროულად იღებენ ინფორმაციებს სხვადასხვა გზების საშუალებით. თუმცა, გასაუბრების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი ისურვებდნენ მეტ საერთაშორისო მობილობას, რათა მეტი სტუდენტის სურვილი დაკმაყოფილებულიყო. სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვის დაბალი მაჩვენებლის მიზეზად დასახელდა ის, რომ მაგისტრანტების უმრავლესობა დასაქმებული იყო და ვერ ახერხებდა სამ თვიან გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას. თუმცა იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ინგლისური ენის ფლობის დონე იყო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ბარიერი. გარდა ამისა, სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ერთ-ერთი ბარიერს წარმოადგენს ენობრივი ბარიერი, თუმცა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლისა და გასაუბრებების შედეგების საფუძველზე დადასტურდა, რომ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი სტუდენტების სერვისის გასაუმჯობესებლად პერიოდულად ატარებს სტუდენტების გამოკითხვას და

ითვალისწინებს მათ რჩევებსა და რეკომენდაციებს. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით სტუდენტები იღებენ უკუკავშირს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე. ასევე, სტუდენტისთვის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; • პროგრამის სილაბუსები; • საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია გაძლიერდეს სტუდენტების წახალისება მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სადიპლომო ნაშრომზე/პროექტზე სტუდენტი მუშაობს ინდივიდუალურად, ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ.
სადიპლომო ნაშრომის/პროექტის შესრულებისას, აუცილებელი კონსულტაციებით უზრუნველყოფის მიზნით სტუდენტს ენიშნება ხელმძღვანელი. მაგისტრატურის თითოეულ სტუდენტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში მაგისტრანტს შეიძლება ჰყავდეს კონსულტანტი (თანა ხელმძღვანელი), რომელიც არის დარგის ექსპერტი ან/და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი და აქვს მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის თემასთან დაკავშირებული შესაბამისი გამოცდილება/ცოდნა. კონსულტანტის შერჩევა სტუდენტს შეუძლია ხელმძღვანელთან და პროგრამის კოორდინატორთან შეთანხმებით.
მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც აქვს მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.
სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის თემის შერჩევა ხდება სტუდენტისა და ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე.
პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და ინტერვიუების შედეგებით დასტურდება, რომ სტუდენტს შეუძლია აირჩიოს კვალიფიციური ხელმძღვანელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სილაბუსი;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და სადიპლომო პროექტის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია სრულიად შეესაბამება უსდ-ს და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ფლობს პროგრამის სრულფასოვნად წარმართვისათვის საჭირო ცოდნასა და კვალიფიკაციას. ლექტორთა საერთო რაოდენობაა 29. მათგან 14 წარმოადგენს აკადემიურ პერსონალს. კერძოდ, 6 მათგანი პროფესორია, 5 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი და 2 ასისტენტი. 14 აკადემიური პერსონალიდან 13 აფილირებულია უსდ-სთან. მოწვეული ლექტორების რაოდენობა 15-ია. აკადემიური პერსონალის 48% და მოწვეული ლექტორების 52%-იანი წილობრივი შემადგენლობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში

(29/32). აღსანიშნავია აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი - 0, მოწვეული პერსონალის კი, 0.56%.

სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციას ადასტურებს მათ მიერ გაწეული სამეცნიერო შრომები. კერძოდ, პუბლიკაციები, კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში მონაწილეობა (სამეცნიერო კვლევითი მაჩვენებელია 161). რაც შეხება მოწვეულ პერსონალს, მათი სრული უმრავლესობა სწავლების პარალელურად დასაქმებულია სხვადასხვა კომპანიებში. ისინი წარმოადგენენ ე.წ. „პრაქტიკოსს ლექტორებს“, რაც სრულად შეესაბამება პროგრამის მიზანს და ასევე ხდის მას კონკურენტუნარიანს.

აკადემიური პერსონალის რაოდენობა და მათი დატვირთვა სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში (29/32) სრულიად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულად წარმართვას და ამავდროულად, აკადემიური პერსონალის თვითგანვითარებაზე ზრუნვას. პროგრამა ხორციელდება ყოველ სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემის შესაბამისად. ასევე, ის ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის მიერ სტუდენტებისათვის საკონსულტაციო საათების გამოყოფა-განსაზღვრას და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობას (ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების თანაფარდობა - 7/20).

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას ჰგავს ორი ხელმძღვანელი, რომელთა ცოდნა, კვალიფიკაცია და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის გამართულ მუშაობას. პროგრამის ხელმძღვანელები უშუალოდ არიან ჩართულები პროგრამის შემუშავებაში, დანერგვა-განხორციელებისა და კონტროლის პროცესში. ორივე ხელმძღვანელს აქვს პროგრამის ხელმძღვანელობისთვის აუცილებელი ცოდნა-განათლება და მრავალწლიანი გამოცდილება, როგორც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების, ასევე კერძო კომპანიებში მმართველობით პოზიციებზე მუშაობის კუთხით. ისინი აქტიურად არიან ჩართულები სამეცნიერო/კვლევით საქმიანობაში.

პროგრამის ხელმძღვანელები პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის ხელმძღვანელობენ „ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მიერ შევსებული ელექტრონული კითხვარების ანალიზით“, „შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა კვლევით“, „ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრების შედეგების ანალიზით“, სტუდენტებთან საკონსულტაციო შეხვედრების დროს მიღებული ინფორმაციითა და ადმინისტრაციის მიერ არაფორმალურად მიღებული ინფორმაციით. პროგრამის ხელმძღვანელები ხელს უწყობენ პროგრამაში ჩართულ პერსონალს პროფესიულ განვითარებაში. კერძოდ, ადექვატური დატვირთვის სქემის, უსდ-სთან არსებულ ტრენინგ ცენტრში გადამზადებისა და საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის თვალსაზრისით.

სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართულია 3 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. ისინი შერჩეულნი არიან ქვეყნის კანონმდებლობისა და უნივერისტეტის ადამიანური რესურსების მართვის დებულების შესაბამისად. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ფუნქციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- სამუშაო აღწერილობები;

- პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებაში;
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების თანაფარდობა;
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა;
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების CV-ები;
- უსდ-ს თვითშეფასება;
- უსდ-ს პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში დანერგილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების კვლევა. მასში მონაწილეობას იღებენ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები. კვლევა ანონიმურია და მოიცავს როგორც დახურულ, ისე ღია

შეკითხვებს. სტუდენტები ფინალურ გამოცდაში მიღებული ქულის შესახებ ინფორმაციას იღებენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეავსებენ კითხვარს, რაც უზრუნველყოფს კვლევაში მონაწილეთა აქტიურობის მაღალ მაჩვენებელს. კვლევა რეგულარულად ტარდება ყოველი საგნის დასრულების შემდეგ. სტუდენტები კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით აფასებენ საგანსა და ლექტორს. საჭიროების შემთხვევაში ხდება შედეგების განხილვა ფოკუს ჯგუფებში მონაცემების დაზუსტებისა და გაანალიზებისათვის. კვლევის ანალიზის შედეგად მიღებულ შედეგებს პროგრამის ხელმძღვანელები იყენებენ პროგრამის შემადგენელი ცალკეული კომპონენტების გაუმჯობესებისა და ლექტორთა პროფესიული სწავლება-განვითარებისათვის. საუნივერსიტეტო დონეზე არსებობს კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა. სასურველია, სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული ლექტორების წახალისება და უფრო აქტიურად ჩართვა კვლევით და სამეცნიერო საქმიანობაში. ასევე, წახალისებისთვის გათვალისწინებული იქნას არა მარტო სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები, არამედ თითოეული ლექტორის მიერ განხორციელებული სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობაც.

სამაგისტრო პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს პროფესიული ზრდისთვის საშუალება აქვთ ტრენინგები უფასოდ გაიარონ უსდ-სთან არსებულ ტრენინგ ცენტრში. პერიოდულად, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი სამუშაო მივლინებით მიემგზავრებიან საზღვარგარეთ არსებულ პარტნიორ უნივერსიტეტებში, სადაც იზიარებენ კოლეგების გამოცდილებას, აგროვებენ საჭირო ინფორმაციას და მასალებს. უსდ-ში დაბრუნების შემდეგ მიზნობრივ აუდიტორიას უზიარებენ მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას. პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) 161-ს შეადგენს. სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით უსდ-მ გაზარდა ფინანსური რესურსების რაოდენობა 2.6%-ით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- ლექტორთა მიერ კონფერენციებში მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;
- საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის დამადასტურებელი მაჩვენებელი;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტები (მემორანდუმები);
- ინტერვიუები ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული ლექტორების წახალისება და უფრო აქტიურად ჩართვა კვლევით/სამეცნიერო საქმიანობაში; • სასურველია აკადემიური/მოწვეული პერსონალის წახალისებისთვის გათვალისწინებული იქნას არა მარტო სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები, არამედ თითოეული ლექტორის მიერ განხორციელებული კვლევითი საქმიანობაც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ საბიბლიოთეკო რესურსით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, კომპიუტერები, ასლის გადამღები მანქანა და სტუდენტური სივრცე. სილაბუსში მოცემული სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში. ბიბლიოთეკის წესების თანახმად, სავალდებულოა სილაბუსში მითითებული ერთი წიგნი ფიზიკურად იმყოფებოდეს ადგილზე. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს პირველი ორი ცდის შედეგად სასურველი წიგნი არ მოიძებნა. ასევე, ვერ მოხერხდა ელ. სამეცნიერო ბაზა EBSCO-ში მონაცემების მოძიება. აღსანიშნავია, რომ გასაძლიერებელია სტუდენტთა

ინფორმირება უსდ-ში არსებული ელ. სამეცნიერო ბაზების არსებობისა, მათი დანიშნულებისა და გამოყენების შესახებ.

სტუდენტებისა და ლექტორებისათვის ხელმისაწვდომია სტუდენტთა ცოდნისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა lmb.gipa.ge. აქ თავსდება სტუდენტთა შეფასებები, კვლევის კითხვარები, სტუდენტების მიერ მიღებული ქულები და სწავლება-სწავლასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ინფორმაცია.

აუდიტორიები აღჭურვილია პროექტორით და კომპიუტერით. შენობა უზრუნველყოფილია უს ადენო ინტერნეტით. შენობის კედლებზე განთავსებულია სახანძრო-უსაფრთხოების ნიშნები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსის ადგილზე დათვალიერება;
- პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურის შესაბამისობა ბიბლიოთეკაში არსებულ მასალასთან;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნის ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებული ძირითად ლიტერატურასთან;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია გადამოწმდეს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა ბიბლიოთეკაში;
- რეკომენდირებულია გაიზარდოს სტუდენტთა ინფორმირება ელ. სამეცნიერო ბაზების არსებობის და დანიშნულების შესახებ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის დაფინანსება ხდება სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის მეშვეობით. პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ყველა ის სავარაუდო ხარჯი, რომელიც აუცილებელია პროგრამის სრულფასოვნად წარმართვისათვის. ბიუჯეტი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: შრომის ანაზღაურების ხარჯი, სასწავლო ტური, ბიზნეს სიმულაციები, მასტერკლასების ჩატარება, ლიტერატურის შესყიდვა, საკანცელარიო საქონლის შესყიდვა, პერსონალისა და სტუდენტების კონფერენციებში მიღების ხარიჯი. იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა ხორციელდება თვითდაფინანსების ხარჯზე, უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი განაპირობებს პროგრამის მდგრადობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის ბიუჯეტი; • პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ ხარისხის შიდა შეფასება ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის და „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ მიხედვით. ხარისხის სრულყოფისთვის დასახული მიზნების განხორციელებისათვის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA) ციკლს. უნივერსიტეტის მიერ ხარისხის უზრუნველყოფა განიხილება, როგორც სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მუდმივი პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს გაუმჯობესების აქტივობებს მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმებით. უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერები და კოორდინატორები, მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროცესის ყველა საფეხურზე: მის დაგეგმვაში, განხორციელებაში (მიმდინარე შეფასებები, მათი შედეგების ანალიზი), შემოწმებასა და განვითარებაში. პროგრამის ხარისხის შიდა შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების (თავი III – „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“ და თავი VIII – „სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გამოყენების წესები“) და „ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს“ შესაბამისად. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული “ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო” მოიცავს სწავლების ხარისხის შეფასების სრულ ციკლს, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამის და სილაბუსების შეფასების ინდიკატორებს, სწავლის შედეგების პირდაპირ და არაპირდაპირი შეფასების აღწერას. უსდ-ს მიერ შიდა შეფასების ინსტრუმენტებად ისახება: სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი და

სტატისტიკური შეფასება, სასწავლო პროცესის ჯვარედინი შეფასება და სასწავლო პროცესის შეფასების შედეგების ანალიზი.

სწავლის შედეგების შეფასებისას უსდ-ს მიერ გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი სამიზნე ნიშნულები, რომელთა შეფასებაც ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად.

ყოველი სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის შესაფასებლად უსდ იყენებს სტუდენტების ანონიმურ ონლაინ გამოკითხვის ფორმას. ელექტრონული კითხვარის საფუძველზე ხორციელდება სემესტრის განმავლობაში განვლილი საგნების და ლექტორების შეფასება სტანდარტიზებული რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით. სტუდენტების მიერ კურსის შემდგომი შეფასების გარდა, 2018 წლიდან, უნივერსიტეტმა დანერგა ლექტორის მხრიდან ჯგუფის ხარისხობრივი ონლაინ შეფასება/დახასიათება. აღსანიშნავია, რომ ორივე კითხვარი ინტეგრირებულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის მონაცემთა ბაზაში - „LMB".

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების თანახმად, სასწავლო პროცესის შემდგომ შეფასების მეთოდად უსდ-ს მიერ განსაზღვრულია სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრები. ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ხვდება სტუდენტებს და განიხილავს სასწავლო პროცესის დეტალებს. ასევე, ხორციელდება კურსდამთავრებულებთან შეხვედრები ხარისხის სამსახურის წარმომადგენელთა მხრიდან პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსაკვეთად, ლექტორებისა და სასწავლო პროცესის შესაფასებლად და პროგრამის განვითარება/სრულყოფაზე კურსდამთავრებულთა რეკომენდაციების მისაღებად. უსდ ახორციელებს შეხვედრების მოკლე მიმოხილვას და შედეგების ანალიზს.

აღსანიშნავია, რომ ხარისხის სამსახურთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში ინერგება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით პროფესორებისა და სხვა მოწვეული ლექტორების ლექციებზე კოლეგიალური დასწრების პრინციპი, რომელშიც, ასევე, ჩართული იქნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი. აღნიშნული შიდა შეფასების ფორმა უკვე ასახულია უსდ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების ფორმებშიც. თუმცა, აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ ჯერ ისინი ინფორმაციას კოლეგიალურ დასწრებაზე არ ფლობდნენ.

უსდ-ში სასწავლო პროცესის შეფასებას კოორდინაციას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხოლო შეფასების პროცესი ხორციელდება სკოლების დონეზე, აკადემიური პროგრამების ხელმძღვანელებისა, ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორების და აკადემიური პერსონალის ჩართულობით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხარისხის შიდა შეფასების შედეგად შემუშავებული დასკვნა წარედგინება სკოლის აკადემიურ საბჭოს, ხოლო სკოლის აკადემიური საბჭოს რეკომენდაციები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნასთან ერთად გადაეცემა უსდ-ს აკადემიურ საბჭოს. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე პროგრამა მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;

- თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრების ანგარიში;
- სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ნიშნების მონიტორინგის ანგარიში;
- ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრების მოკლე მიმოხილვა და შედეგების ანალიზი;
- აკადემიური პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის შეფასების ფორმა;
- ინტერვიუ ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების განახლების მიუხედავად აკადემიური და მოწვეული პერსონალი არ ფლობდა ინფორმაციას კოლეგიალური დასწრების სისტემის დანერგვის შესახებ. სასურველია უსდ-ს «სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების» განახლებისთანავე ეცნობოს პერსონალს მასში შესული ცვლილებების და დამატებების შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

უსდ-ს ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამის ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული პერსონალი და ფაკულტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები გარე შეფასების შედეგებს იყენებენ პროგრამის განვითარების და გაუმჯობესების მიზნით.

უსდ გარე შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად მიიჩნევს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების მრჩეველთა საბჭოს. წესდების თანახმად, საბჭო ჩართულია პროგრამის

კურიკულუმის განვითარებასა და პროგრამის შემუშავების კონცეპტუალურ ნაწილში. თვითშეფასების დასკვნის თანახმად, მრჩეველთა საბჭო შედგება ბიზნესის ადმინისტრირების დარგის ექსპერტებისა და წარმატებული ბიზნესმენებისგან, როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო დონეზე, პერიოდულად ხდება საბჭოს წარმომადგენლებთან შეხვედრა, რომლებიც პროგრამის ადმინისტრაციას უზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს სასწავლო პროცესის შესახებ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უსდ-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის მხოლოდ მრჩეველთა საბჭოს წესდება, არ არის წარმოდგენილი მრჩეველთა საბჭოს წევრების სია. ვიზიტის დროს მრჩეველთა საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაციის მიღების სურვილისას უსდ-ს წარმომადგენლებმა დაგვაკვალიანეს, რომ მრჩეველთა საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია განთავსებული იყო უსდ-ს ვებ-გვერდზე www.gipa.ge. თუმცა, ვებ-გვერდის დეტალურად შესწავლის მიუხედავად ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ. ასევე, აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლებთან გაფორმებული წარმოდგენილი 7 ხელშეკრულებიდან ძალაშია მხოლოდ 2, შ.პ.ს. „კნიკთან“ და შ.პ.ს. „ჩემპიონ 111“-თან გაფორმებული ხელშეკრულებები. დამატებით, უსდ-ს მიერ გარე შეფასება ხორციელდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უნივერსიტეტის ავტორიზაციის და პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების ეტაპზე. 2014 წელს წელს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტების მიერ წარმოდგენილ იქნა რჩევები და რეკომენდაციები უნივერსიტეტის პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით. უსდ-მ ეტაპობრივად მოახდინა აკრედიტაციის ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციებზე და რჩევებზე რეაგირება და გაითვალისწინა ისინი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • მრჩეველთა საბჭოს წესდება; • აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა უსდ-ს ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამაზე (12.03. 2014 წ.); • აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი # 131 (1 ივლისი, 2014); • აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი # 153 (28 ივლისი, 2015) • დეკანატის სხდომის ოქმი # 253 (11 მაისი, 2018); • აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი # 259 (8 აგვისტო, 2018); • საგანმანათლებლო პროგრამა; • ვებ-გვერდი www.gipa.ge.
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია განახლდეს დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის უსდ ერთ-ერთ გარე შეფასების მექანიზმად მიიჩნევს მრჩეველთა საბჭოს, შესაბამისად, სასურველია გამჭირვალე გახდეს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სწავლების მრჩეველთა საბჭოს წევრთა ვინაობა და ქმედითი გახდეს მათი საქმიანობა, რაც დადასტურებული იქნება შესაბამისი შეხვედრების ოქმებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
უნივერსიტეტის მიერ დასახული მისიისა და მიზნების, სტრატეგიის მისაღწევად უსდ-ს ხარისხისა და შეფასების სამსახურმა შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასების სისტემა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მოთხოვნები და ახორციელებს უნივერსიტეტის საქმიანობის შიდა მონიტორინგს. უნივერსიტეტისთვის სასწავლო პროცესის შეფასების მთავარ ამოცანას წარმოადგენს სწავლების ხარისხის შენარჩუნება და გაუმჯობესება. გარდა ამისა, შიდა შეფასება მიზნად ისახავს გამოავლინოს პროგრამებში არსებული ხარვეზები და შეიმუშაოს რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზეც მოხდება პროგრამის შემდგომი სრულყოფა და განვითარება. უნივერსიტეტი პროგრამის მონიტორინგს და მის პერიოდულ შეფასებას ახორციელებს ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეკომენდაციების, სტუდენტების გამოკითხვის შედეგების, სტუდენტების აკადემიური მოსწრების და, ასევე, პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნის ანალიზის, კონკურენტების და ბაზრის კვლევის

საფუძველზე.

შედეგად, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის შეფასება ხორციელდება «სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების» თანახმად და ეყრდნობა შემდეგი სახის კვლევის შედეგებს: ბაზრის კვლევა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი, სტუდენტების მხრიდან პროგრამის, სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასება - რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა, კურსდამთავრებულთა მხრიდან პროგრამის შეფასების კვლევა - თვისებრივი კვლევა, ფოკუს ჯგუფის მეთოდი, კონკურენტი პროგრამების და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის კვლევა.

უსდ-ს თვითშეფასების ჯგუფთან ჩატარებული შეხვედრების ანგარიშის თანახმად, აკრედიტაციამდე მათ გაითვალისწინეს აგარიშების შედეგების ანალიზი და წარმოდგენილი რეკომენდაციები, რის საფუძველზეც, განახლდა ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა და განხორციელდა ძირითადი ცვლილებები. აღსანიშნავია, რომ კონცეფცია, რომელსაც ეფუძნებოდა 2014 წლის პროგრამა უცვლელი დარჩა: ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ეფუძნება მოდულური სწავლების პრინციპს. თუმცა, გადაიხედა მოდულების მიხედვით საგნების სილაბუსები, მოხდა მათში და პროგრამაში აღწერილი სწავლის შედეგების შედარება და ანალიზი. პროგრამული მიზნებიდან გამომდინარე უსდ-ს მიერ განისაზღვრა პროგრამის რვა შედეგობრივი მაჩვენებელი, რომელთა შეფასება ხდება წინასწარ შემუშავებული პირდაპირი და არაპირდაპირი სამიზნე ნიშნულების მიხედვით. სილაბუსების ცვლილებასთან ერთად თვითშეფასების ჯგუფის მიერ განვლილი კურსების შეფასებების ანალიზზე დაყრდნობით შემუშავდა საგნობრივი სამიზნე ნიშნულები, საგნის შედეგების რუკა და სამიზნე ნიშნულების ცხრილები. შემუშავებული სამიზნე ნიშნულები წარმოადგენს პროგრამის ხარისხის შეფასების მექანიზმს, რაც საშუალებას იძლევა უსდ-მ განახორციელოს მუდმივი მონიტორინგი პროგრამის ეფექტურობის შესაფასებლად, ასევე საშუალებას იძლევა აღმოაჩინოს გადახრის შემთხვევები და მოახდინოს მათზე დროული რეაგირება.

შედეგად, უსდ-ს მიერ ხორციელდება ინფორმაციის სისტემური შეგროვება, დამუშავება და ანალიზი სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით:

- კონკურენტი პროგრამების კვლევა და ანალიზი;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა კვლევა;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი და სტატისტიკური აღრიცხვა;
- ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მიერ შევსებული ელექტრონული კითხვარების ანალიზი;
- სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრების მოკლე მიმოხილვა და შედეგების ანალიზი;
- სტუდენტების მიერ ლექტორების ონლაინ შეფასება;

- სტუდენტების მიერ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფარული წესით შეფასება;
- ლექტორის მიერ ჯგუფის წევრების ინდივიდუალური შეფასება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით;

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგში და მის პერიოდულ შეფასებაში სკოლის აკადემიურ, ადმინისტრაციულ და მოწვეულ პერსონალთან ერთად ჩართულნი არიან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პოტენციური დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და საჭიროებისამებრ სხვა დაინტერესებული პირები. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული შეხვედრების შედეგად იკვეთება, რომ უსდ ახორციელებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობით პროგრამის შემდგომი განვითარება/გაუმჯობესებისთვის ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, მის დამუშავებას და ანალიზს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა კვლევა, 2018;
- ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით მრჩეველთა საბჭოს წესდება;
- დამსაქმებლებთან შეხვედრის ანგარიში 1;
- დამსაქმებლებთან შეხვედრის ანგარიში 2;
- თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრების ანგარიში;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმა;
- სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ნიშნების მონიტორინგის ანგარიში;
- ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრების მოკლე მიმოხილვა და შედეგების ანალიზი;
- კკონკურენტების კვლევა;
- აკადემიური პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის შეფასების ფორმა;
- ინტერვიუ ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

თამარ მაღალაშვილი

ნინო დგვეფაძე



ანა მიხელიძე